საქართველოს მთავრობის

დადგენილება №605

2018 წლის 18 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ლიკვიდაციის მიზნით სალიკვიდაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის №558 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ლიკვიდაციის მიზნით სალიკვიდაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის №558 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/11/2018, 010210050.10.003.020874) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის (შემდგომში – აპარატი) ლიკვიდაციის მიზნით, შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე – ალექსანდრე დარახველიძე – კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;

ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი.“.

2. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) აპარატში არსებული დოკუმენტაციის (მასალის), მათ შორის, ელექტრონული ფორმით არსებულის, დამუშავება-სისტემატიზაცია და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დაარქივება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;“.

3. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ[1]“ ქვეპუნქტი:

1

„გ) სამუშაო ჯგუფების შექმნა ლიკვიდაციის პროცესში წამოჭრილი სხვადასხვა თემატური საკითხის მოსაგვარებლად;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**